ამონაწერი

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური
პოლიტიკის კომიტეტის

2008 წლის 30 ოქტომბრის №19 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს:

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ქალბატონ ნინო ენუქიძის მოხსენება **„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“** საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3259 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თ. წურწუმიამ წარმოადგინა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული კანონპროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: გ. გოგუაძემ, ა. გეგენავამ, გ. მელაძემ

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს **„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3259 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“** კომიტეტის მიერ მომზადებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის ინიცირება.

2. დადგენილების პროექტზე საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომასა და საკომიტეტო მოსმენებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ წურწუმია.

გიორგი მელაძე
კომიტეტის თავმჯდომარე